ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თეიმურაზ ბურჭულაძის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

მე, თეიმურაზ ბურჭულაძე საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების შესრულებას შევუდექი 2014 წლის 2 აგვისტოდან, არჩეული ვარ პროპორციული წესით, ვარ კოალიცია ,,ქართული ოცნების“ -წევრი, კონკრეტულად გახლავართ ,,საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოში ორი კომისიისა და ერთი ფრაქციის წევრი, კერძოდ: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის წევრი და ფრაქცია ,, ძლიერი სოფელი“-ს წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან (პირველი სხდომის ჩატარების თარიღი) ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი კომისიის სხდომებში, სულ ჩატარდა სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 9 და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის 15 სხდომა,განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად, კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, მათ შორის, 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე; 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე; 2015 წლის შესწორებული ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დაყენების თაობაზე.

დავესწარი ფრაქცია ,,ძლიერი სოფელი“ ს 5 და ფრაქციათა გაერთიანებულ 3 სხდომას. ერთობლივ სხდომაში ფრაქცია ,,ძლიერი სოფელი“ და ფრაქცია ,,ჩვენი ოზურგეთი“-თან ერთად. ამ სხდომებზე განხილული იყო სულ 14 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში მქონდა შეხვედრები და მიღებები ამომრჩევლებთან, მოქალაქეებთან, დავაკვალიანე და სწორი მიმართულება მივეცი მათ. მოქალაქეებთან შეხვედრებისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის გაზიფიცირების, გზების სარემონტო სამუშაოების, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებსა და დასაქმების პრობლემებს.

ვფიქრობ რომ, ჩემი 35 წლიანი გამოცდილება (უმეტეს შემთხვევაში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები,მრავალი სერთიფიკატის მქონე) და ამჟამად ჩემი საადვოკატო საქმიანობა დამეხმარება სამართლებრივი კუთხით გავუზიარო ცოდნა და პრაქტიკა ამომრჩევლებს.

29 01 2015წ